

დოკუმენტის №: 0007618359

მოწმის დაკითხვის ოქმი

29.12.2015

ქ. თბილისი

ოქმის შემდგენი პირი: ალექსანდრე ფოცხვერაშვილი, თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორი

საქმის №: 010201215001

დაკითხვის დაწყების დრო: 12 : 45

დაკითხვის დასრულების დრო: 13 : 20

დაკითხვის ჩატარების ადგილი: საგამომიებო ორგანო

დასაკითხი პირის მონაცემები:

სახელი : ირინე;

გვარი : მარტაროვი;

დაბადების თარიღი :

დაბადების ადგილი :

მოქალაქეობა :

განათლება :

ოჯახური მდგომარეობა : ც

პირადი ნომერი

რეგისტრაციის მისამართი: ქვეყანა: საქართველო, ქალაქი: თბილისი,

ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი: ქვეყანა: საქართველო,

ქუჩა/მასივი: გ

მობ. ტელეფონი:

მობ. ტელეფონი:

მოწმის უფლება-მოვალეობები:

1. მოწმე ვალდებულია: გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით; სწორად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმის გამოძიების, და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს; არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა გამომძიებელმა, პროკურორმა ან სასამართლომ; დაიცვას წესრიგი საქმის წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს; არ დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი თავმჯდომარის ნებართვის გარეშე.
2. თუ მოწმე არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით, იგი შეიძლება იძულებით მოიყვანონ. გამოუცხადებლობის, თავმჯდომარის განკარგულებათა შეუსრულებლობის, საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს წესრიგის დარღვევისა და სასამართლოს უპატივცემულობისათვის.
3. ჩვენებაზე უარის თქმისათვის, ცრუ ჩვენების მიცემისათვის, განზრახ

დაკითხული პირის ხელმოწერა : ი. მარტაროვი

ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის მოწმე პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-371,371<sup>1</sup>,373-ე მუხლებით, ამასთან, მოწმე არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება თავისი ან მისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ.

4. მოწმეს უფლება აქვს: იცოდეს, რა საქმის გამოა გამოძახებული; ჩვენება მისცეს მშობლიურ ენაზე, თუ მან არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, და ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით; აცილებას მისცეს თარჯიმანს; საკუთარი ხელით ჩამოაყალიბოს თავისი ჩვენება; გაეცნოს დაკითხვის ან მისი მონაწილეობით ჩატარებული სხვა საგამომიებო მოქმედების ოქმს, მოითხოვოს მასში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა, გააკეთოს განცხადება გამომიების უკანონო მეთოდების შესახებ; გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმის იმ ნაწილს, სადაც ჩაწერილია მისი ჩვენება, და მოითხოვოს მასში დამატებების, ცვლილებებისა და დაზუსტებების შეტანა, ისარგებლოს წერილობითი ჩანჩვენებითა და დოკუმენტებით; არ მისცეს ჩვენება, რომელიც ამხელს მას ან მის ახლო ნათესავებს დანაშაულის ჩადენაში; მონაწილეობა მიიღოს საგამომიებო მოქმედების ჩატარებაში; გაეცნოს ოქმს და გააკეთოს განცხადებები, რომლებიც ოქმში შეიტანება. (1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მოქმედებს 2012 წლის 1 ოქტომბრამდე).

განემარტა უფლება-მოვალეობები: ი. ჩხეიძე

პირის ჩვენება:

გამომიების მიერ განემარტა ჩემი როგორც მოწმის უფლება მოვალეობანი, მათ შორის უფლება არ მივცე ჩვენება საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ, ასევე უფლება დაკითხვისას ვიყოლიო ადვოკატი, რომელსაც არ ვსაჭიროებ და ჩემს უფლებებს დავიცავ პირადად, აგრეთვე გაფრთხილებული ვარ ცრუ ჩვენების, ცრუ დასმენის, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის და ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემის შემთხვევაში საქართველოს სსკ-ის 370-ე, 371-ე, 371 პრიმა და 373-ე მუხლებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ, რაც ჩემთვის სრულიად გასაგებია. ეროვნებით ვარ სომეხი, დაბადებული და გაზრდილი ვარ საქართველოში, ქართული წერა კითხვა ვიცი კარგად და თარჯიმნის მომსახურებას არ ვსაჭიროებ.

კითხვა: განუმარტეთ გამომიებას, 2015 წელს 19 დეკემბერს, სადამოს აწ გარდაცვლილ ომარ ქაფიაშვილის დედასთან დარეჯან (ლილი) მინდიკაურთან სტუმრობისას შეხვდით თუ არა მის რძალს მაგდა პაპიძეს, დადებით შემთხვევაში გთხოვთ, გვიპასუხოთ სად და რა ვითარებაში შეხვდით ამ უკანასკნელს და სომ არ მიიქცია თქვენი ყურადღება რაიმე საეჭვო გარემოებაში?

პასუხი: მე მთლიანად ვადასტურებ ჩემს მიერ 2015 წლის 20 დეკემბერს მოწმის სახით დაკითხვისას მიცემულ ჩვენებას და დასმულ კითხვაზე გიპასუხებთ, რომ ოჯახთან ერთად ვცხოვრობ ქაფიაშვილების მეზობლად ფერადის ქუჩა N5-ში. მე ვმეგობრობ გარდაცვლილ ომარ ქაფიაშვილის დედასთან დარეჯან (ლილი) მინდიკაურთან. 2015 წლის 19 დეკემბერს სადამოს მე ჩემს ქალიშვილ ალასთან ერთად მივედი დარეჯან მინდიკაურთან ფერადის ქუჩა N6-ში თავის პატარა მიშენებულ ოთახში. დარეჯანს ვეხმარებოდი სარეცხის სამაგრების ე.წ „შილკების“ აწყობაში, თან ვასუბრობდი სხვადასხვა პირადულ საკითხებზე. დაახლოებით 21:30 საათზე, როდესაც ვიჯექით დარეჯანთან ორჯერ შემოვიდა დარეჯანის რძალი მაგდა პაპიძე. პირველ შემთხვევაში მან სარეცხი მანქანიდან გადმოიღო გარეცხილი ტანსაცმელი, ჩადო ტაშტში და დატოვა. ამის შემდეგ გავიდა დარეჯანის ოთახიდან და გარკვეული პერიოდის შემდეგ კვლავ შემოვიდა და სარეცხის მანქანაში გასარეცხად მოათავსა გადასაფარებელი. რეცხვის

დაკითხული პირის ხელმოწერა: ი. ჩხეიძე

პროცესში ჩემი ყურადღება მიიქცია იმან, რომ ქაფიანმა წყალმა ფერი იცვალა, გახდა მოვარდისფრო-მოწითალო, შემდეგ ქაფი გადმოვიდა მანქანიდან, სადაც ფხვნილი იყრება. მე და ჩემს ქალიშვილს გაგვიკვირდა რატომ მიიღო სარეცხმა ასეთი ფერი. დარეჯანმა გვიპასუხა, რომ საწოლის (დივანი) გადასაფარებელია, პირველად არ ვრეცხავ ამ გადასაფარებელს და ფერი არასდროს გადასვლიაო. ჩვენ აღნიშნული გარემოება მივიჩნიეთ საეჭვოთ, რადგან შემდეგ გავიგეთ, რომ ომარ ქაფიანშვილი იმ დღეს იყო მოკლული, როდესაც მაგდა პაპიძემ საწოლის (დივანი) გადასაფარებელი შემოიტანა გასარეცხათ დარეჯან მინდიკაურის ოთახში.

ჩვერება წაწიეთიხე, ჩანეხილია ჩემი სიწყვეთი ძიხეცვით  
სწოხია და ხელს ვანუხ: ი. მამუჩოვი.  
ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა:

ალექსანდრე ფოცხვერაშვილი



დაკითხული პირის ხელმოწერა :